

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და არქექტიპის რეკონსტრუქცია

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითადი მეთოდია. **შედარებითი** იმიტომ, რომ იგი შეისწავლის მონათესავე ენების განვითარების გზებს მათი შედარების საფუძველზე. **ისტორიული** კი იმიტომ, რომ ენათა შედარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი ისტორიული განვითარების გზა, ენათა მდგომარეობა მათი შექმნის ადრეულ ეტაპზე. პროტო-ენის დიალექტების დიფერენციაციის შედეგად ახალწარმოქმნილი ენები ბევრად მსგავსი იყო და ბევრად მეტი საერთო ლინგვისტური ნიშანი ჰქონდა, ვიდრე აქვს მათ თანამედროვე „შთამომავლებს“, რომელთაც ისტორიული განვითარების გრძელი გზა განვლეს და სახე იცვალეს მრავალი ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური ცვლილებების შედეგად. სწორედ ამიტომ, ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ენების შედარებისას, უპირველეს ყოვლისა კომპარატივისტები ადარებენ და ითვალისწინებენ ენების განვითარების ადრეულ მდგომარეობას, შემდეგ კი ისტორიული განვითარების შემდგომ ეტაპებს.

მონათესავე ენებს გააჩნია როგორც საერთო ლინგვისტური ნიშნები, ასევე განსხვავებული ნიშნებიც. საერთო ნიშნები, როგორც წესი, ფუძე ენიდან მოდის; განსხვავებული ნიშნები კი ენების განვითარების, დიფერენციაციის პროცესის შედეგად იჩენს თავს. ენათა შედარება ავლენს თუ როგორ წარმოიქმნება ეს განსხვავება, შესაძლებელს ხდის მონათესავე ენათა წარმოშობის, მათი ისტორიის რეკონსტრუქციას.

მონათესავე ენათა შედარება გულისხმობს მოცემული ენების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური დონეების შედარებით შესწავლას. ამგვარი შედარების მიზანია კანონზომიერი შესატყვისობების გამოვლენა ყველა დონეზე (ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკურ დონეებზე). თუ ორი ან მეტი ენის შედარების შედეგად გამოვლინდება კანონზომიერი შესატყვისობები ყველა დონეზე, განხილული ენები შეიძლება მივიჩნიოთ მონათესავე ენებად.

რა არის კანონზომიერი შესატყვისობა?

რა ტიპის მსგავსება შეიძლება მივიჩნიოთ კანონზომიერ შესატყვისობად?

კანონზომიერი შესატყვისობები ფონოლოგიურ დონეზე.

კანონზომიერი შესატყვისობა ფონოლოგიურ დონეზე არის ბგერათშესატყვისობები მონათესავე ენებს შორის, კერძოდ, მონათესავე ენის ერთ ბგერას მის მონათესავე ენაში კანონზომიერად შეესატყვისება იგივე ბგერა, ან რომელიმე სხვა ბგერა.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

ქართული და მეგრული მონათესავე ენებია. ქართულ **კ**-ს მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება იგივე ბგერა, ქართულ **ა**-ს მეგრულში კანონზომიერად შეესატყვისება **ო**, ქართულ **ც**-ს მეგრულში შეესატყვისება **ჩ**, **ძ**-ს **ჯ** და სხვა.

მაგ. **კაცი** - **კოჩი**, **ასული** - **ოსური**, **ცხელი** - **ჩხე**, **ძალი** - **ჯოღორი**, **ძმა** - **ჯიმა** და სხვა.

ინგლისური და გერმანული ენები მონათესავე ენებია და მათ შორის არსებობს კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები. ინგლისურ **p**-ს ხმოვნის შემდეგ გერმანულ ენაში კანონზომიერად შეესატყვისება **f**. მაგ. ship – Schiff, sleep – schlafen... აღსანიშნავია, რომ იგივე ინგლისურ **p**-ს სიტყვის საწყის პოზიციაში ან თანხმოვნის შემდეგ, გერმანულში კანონზომიერად შეესატყვისება აფრიკატი **pf**.

მაგ. **pepper** - **Pfeffer**

pan - **Pfanne**

pipe - **Pfeife**. პირველ და მესამე მაგალითებში კარგად ჩანს, რომ სიტყვის საწყის პოზიციაში ინგლისურ **p**-ს გერმანულში შეესატყვისება **pf**, ხოლო ხმოვნის შემდეგ - სპირანტი **f**.

ამგვარი ბგერათშესატყვისობები არსებობს ყველა მონათესავე ენაში. უფრო ფართო კონტექსტს თუ განვიხილავთ, სხვადასხვა ინდოევროპულ ენებში დადასტურებულ ყრუ შხულ თანხმოვანს **k**, გერმანიკულ ენებში შეესატყვისება ყრუ სპირანტი **h**.

მაგ. სანსკრიტი **nak(t)**, ბერძ. **nykt**,
ლათ. **noct** „ღამე“

გოთ. **nahts**, ძვ. ინგლ. **niht**, ძვ.ზ.გერმ. **naht**

ბერძ. **kardia**, ლათ. **cor(d)** „გული“

გოთ. **hairto**, ძვ. ინგლ. **heorte**, ძვ.ზ.გერმ.

herza, ძვ.ისლანდ. **hjarta**.

უნდა აღინიშნოს, რომ ბგერათშესატყვისობები ვლინდება მხოლოდ საერთო წარმოშობის ლექსიკაში (inherited lexicon). მაგ. ბგერათშესატყვისობები ქართულ და მეგრულ ენებს შორის ვლინდება მხოლოდ ქართველურ სიტყვებში, ბგერათშესატყვისობები ინგლისურ და გერმანულ ენებს შორის ვლინდება საერთო გერმანიკულ ლექსიკაში და ა.შ.

კანონზომიერი შესატყვისობები მორფოლოგიურ დონეზე.

მორფოლოგიურ დონეზე კანონზომიერი შესატყვისობები მონათესავე ენებს შორის თავს იჩენს არსებითი სახელების, ზედსართავი სახელებისა და ნაცვალსახელების ბრუნვის დაბოლოებებში, ზმნათა უღლებაში, ცალკეული გრამატიკული კატეგორიების მსგავსებაში და სხვა.

მაგალითად, გოთური და ძველი ინგლისური განასხვავებდა არსებითი სახელების ძლიერ და სუსტ ბრუნებას (შედარებისათვის განვიხილავ ამ ორ გერმანიკულ ენას, თუმცა არსებით სახელთა მორფოლოგია სრულიად იდენტურია ყველა ძველ გერმანიკულ ენაში). არსებით სახელთა ძლიერ ბრუნებაში გამოიყოფა ოთხი ტიპის ბრუნება: a-, o-, i- u-ხმოვანფუძიანი არსებითი სახელების ბრუნება. შევადაროთ არსებითი სახელის **day** ბრუნება გოთურსა და ძველ ინგლისურში (a- ტიპის ბრუნება).

გოთური

ძველი ინგლისური

მხ. რ. სახ. **dags** (დღე)

dæg (დღე)

ნათ. **dagis**

dægnes

მიც. **daga**

dæge

ბრ. **dag**

dæg

მრ.რ. სახ.	dagōs	daʒas
ნათ.	dagē	daʒa
მიც.	dagam	daʒum
ბრ.	dagans	daʒas

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი გერმანიკული ენებიდან. გერმანიკულ ენებში გამოიყოფა ძლიერი ზმნები და სუსტი ზმნები. ყველა გერმანიკულ ენაში ძლიერი ზმნები (ისტორიულად ძლიერ ზმნებს ინგლისურ ენათმეცნიერებაში "არაწესიერს" უწოდებენ) ნამყო დროსა და ნამყო დროის მიმდებარე ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით აწარმოებს (write – wrote – written), სუსტი ზმნები კი დენტალური სუფიქსის დართვით (play – played – played). არსებობს ოთხი დენტალური თანხმოვანი, ესენია: d, t, θ, ð. თუ გადავხედავთ სხვადასხვა გერმანიკული ენების მაგალითებს, ვნახავთ, რომ სხვადასხვა გერმანიკულ ენებში სუსტი ზმნები ნამყო დროსა და ნამყო დროის მიმდებარე აწარმოებენ რომელიმე დენტალური სუფიქსით (d, t, θ, ð).

მაგ. ინგლისური: **play – played – played**

გერმანული: **sagen – sagte – gesagt**

გოთური: **fulljan – fulida – fuliθs**

ძვ. ისლანდიური: **kalla - kallaða – kallaðr.**

განვიხილოთ უფრო ფართო, ინდოევროპული ენების კონტექსტი და შევადაროთ ზმნის უღლების სისტემა რუსულში, ლათინურში, გოთურსა და გერმანულში:

რუსული	ლათინური	გოთური	გერმანული
верчу	verto	wairþa	werde
вертишь	vertis	wairþis	wirst
вертит	vertit	wairþip	wird
вертим	vertimus	wairþam	werden
вертите	vertitis	wairþip	werdet
вертят	vertunt	wairþand	werden

მიუხედავად იმ ფონეტიკური ცვლილებებისა, რაც ფორმათმაწარმოებელმა მორფემებმა განიცადა სხვადასხვა ენაში, ადვილად დგინდება ამ მორფემების

ნათესაობა. ის განსხვავებები კი, რაც ზემოთ განხილულ მაგალითებზე ჩანს, ადვილად აიხსნება ფონეტიკური შესატყვისობებით.

კანონზომიერი შესატყვისობები ლექსიკურ დონეზე.

ლექსიკურ დონეზე კანონზომიერი შესატყვისობები ვლინდება მონათესავე სიტყვების (cognate words) არსებობით მონათესავე ენების ლექსიკაში. მონათესავე სიტყვების ერთობლიობა ქმნის იმ საერთო ლექსიკას (common vocabulary, inherited lexicon), რომელსაც მონათესავე ენები მემკვიდრეობით იღებენ ფუძე ენიდან. ყველა ინდოევროპული ენის ლექსიკაში არის საერთო ინდოევროპული ლექსიკა (Indo-European inherited lexicon), ის სიტყვები, რომლებიც არსებობდა პროტო-ინდოევროპულ ენაში და მისი დიალექტების დიფერენციაციის შედეგად, ეს სიტყვები შევიდა ცალკეული ინდოევროპული ენების ლექსიკაში.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

დედა

სანსკრიტი **mātār**; ძვ. სპარსული **mātar**; ძვ. ირლანდიური **màthir**; ძვ. ზემო-გერმანული **muoter**; ძვ. ინგლისური **mōdor**; ლატვიური **māte**; პრუსიული **mūti**, **mothe**; ძვ. სლავური **mati**.

მამა

სანსკრიტი **pitār**; ავესტური **pitar**; ბერძნული **patēr**; ლათინური **pater**; ძვ. ირლანდიური **athir**; გოთური **fadar**; ძვ. ინგლისური **fæder**; ძვ. ზემო-გერმანული **fater**.

ძმა

სანსკრიტი **bhrātar**; ძვ. სპარსული **brātar**; ლათინური **frāter**; ძვ. ირლანდიური **brath(a)ir**; გოთური **brōþar**; ძვ. ისლანდიური **broðir**; ძვ. ზემო-გერმანული **bruoder**; ძვ. ინგლისური **brōþor**; პრუსიული **brāti**; ლიტვური **broterėlis**; ძვ. სლავური **brat(r)ŭ**.

ქვრივი

სანსკრიტი **vidhāvā**; ლათინური **uidua** (გამორებული ან გაუთხოვარი ქალი);
გოთური **widuwō**; ძვ. ინგლისური **widuwe**; ძვ. ზემო-გერმანული **wituwa**;
პრუსიული **widdewu**; ძვ. სლავური **vŭdova** „ВДОВА”.

მიუხედავად მრავალი ფონეტიკური ცვლილებისა, რაც ამ ენებმა განიცადა მათი ისტორიული განვითარების განმავლობაში, უდავოა, რომ ეს სიტყვები საერთო ძირიდან მოდის და საერთო ინდოევროპული ლექსიკის შრეს განეკუთვნება.

გარდა საერთო ინდოევროპული ლექსიკისა, ინდოევროპულ ენათა ოჯახის ყოველ შტოს აქვს თავისი საერთო ლექსიკაც, ასეთია: საერთო გერმანიკული ლექსიკა, საერთო კელტური ლექსიკა, საერთო რომანული ლექსიკა, საერთო სლავური ლექსიკა და სხვა. ეს ის სიტყვებია, რომლებიც შეიქმნა პროტო-გერმანიკულ ენაში, პროტო-კელტურ ენაში, პროტო-სლავურ ენაში და ა.შ. ამ ენათა დიალექტების დიფერენციაციის შედეგად აღნიშნული სიტყვები შევიდა ცალკეული ენების ლექსიკაში და შექმნა საერთო გერმანიკული ლექსიკა (inherited Germanic lexicon) გერმანიკული ენებისათვის, საერთო კელტური ლექსიკა (inherited Celtic lexicon) კელტური ენებისათვის, საერთო სლავური ლექსიკა (inherited Slavic lexicon) და ა.შ.

მაგ. ინგლისური სიტყვა **hand** საერთო გერმანიკულ შრეს განეკუთვნება. მისი მონათესავე სიტყვები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში არის: გოთური **handus**; ძვ. ფრიზული **hand, hond**; ძვ. საქსური **hand**; ძვ. ზემო-გერმანული **hant**; ძვ. ისლანდიური **hǫnd**. აღნიშნული სიტყვა არ დასტურდება ინდოევროპულ ენათა ოჯახის სხვა შტოებში.

საერთო გერმანიკულ შრეს განეკუთვნება ასევე ინგლისური ზმნა **to sing**: გოთური **siggwan**; ძვ. ფრიზული **siunga, sionga**; ძვ. საქსური **singan**; ძვ. ზემო-გერმანული **singan**; ძვ. ისლანდიური **syngva, syngja**.

მაშასადამე, თუ ამგვარი კანონზომიერი შესატყვისობები გამოვლინდა ენის ყველა დონეზე, შეიძლება ვიმსჯელოთ ენათა ნათესაობაზე და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე არის სწორედ ენათა ნათესაობის დადგენა.

არქეტიპის რეკონსტრუქცია

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი არის რეკონსტრუქცია. მონათესავე ენების ენობრივი ერთეულების (გარეგანი რეკონსტრუქცია) ან ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპების ფაქტების (შინაგანი რეკონსტრუქცია) შედარების საფუძველზე შესაძლებელია პირველწყაროს, არქეტიპის რეკონსტრუქცია.

არქეტიპი ანუ პროტოფორმა ეწოდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველზე აღდგენილ ჰიპოთეტურ პროტოენობრივ ფორმას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი გზით აღდგენილი ფონემები, აფიქსური და ძირისეული მორფემები, ლექსიკური ერთეულები თანამედროვე ინდოევროპეისტიკასა და გერმანისტიკაში განიხილება არა როგორც რეალური პროტოენობრივი ფორმები, არამედ როგორც განზოგადებები, რომლებიც გამომდინარეობს მონათესავე ენებს შორის არსებული კანონზომიერი შესატყვისობებიდან. ისტორიულ-შედარებითი მეთოდით აღდგენილი არქეტიპები ჩვეულებრივ ვარსკვლავით აღინიშნება - *.

მაგალითად, ზემოთ განხილული საერთო ინდოევროპული და საერთოგერმანიკული ლექსიკის სიტყვებისათვის აღდგენილია შემდეგი პროტოენობრივი ფორმები: დედა - ***mater-**; მამა - ***pater-**; ძმა - ***bhrater-**; ქვრივი - ***uidh-**; ხელი - ***handuz**; მღერა - ***sengwan**.

განვიხილოთ ერთი მაგალითი მორფოლოგიიდან, კერძოდ არსებითი სახელის სახელობითი ბრუნვის დაბოლოების რეკონსტრუქცია პროტოგერმანიკული და პროტოინდოევროპული ენებისათვის. ძველ გერმანიკულ ენებში დასტურდება სახელობითი ბრუნვის შემდეგი ფორმები მამრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის: გოთური – **dags**, ძვ. ინგლისური – **dæg**, ძვ. ისლანდიური – **dagr**, ძვ. ზემო-გერმანული – **tag**, **tac**. როგორ უნდა დადგინდეს ამ ფორმების არქეტიპი? რუნიკული წარწერების ენაში დადასტურებულია ფორმა **dagaR**. ცნობილია, რომ

სკანდინავიურ ენებში **R** განვითარდა **z**-სგან როტაციზმის შედეგად. ამგვარად შეიძლება აღდგეს პროტოგერმანიკული არქეტიპი *-**az**. თუ გავაგრძელებთ შედარებას ინდოევროპულ ენებთან, შეიძლება ინდოევროპული არქეტიპის აღდგენაც. გერმანიკულ **z**-ს ინდოევროპულ ენებში კანონზომიერად შეესატყვისება **s**, ხოლო გერმანიკულ **a**-ს ინდოევროპულ ენებში კანონზომიერად შეესატყვისება **o**. ამგვარად შეიძლება აღდგეს ინდოევროპული არქეტიპი *-**os**, რაც დასტურდება კიდევ სხვა ინდოევროპული ენების ფაქტებთან შედარებისას: ბერძნული – *lykos*, ლათინური – *lupus* “მგელი”.

ისტორიულ-შედარებით მეთოდს გამოყენების სხვა მხარეებიც აქვს. მაგალითად, ენობრივი ფაქტების ქრონოლოგიის დადგენა, ენობრივი მოვლენების არეალის (მონათესავე ენების საერთო ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური ნიშნების გავრცელების რაიონი) განსაზღვრა და სხვა.